საქ. თ-ლოს მუშ... [illegible] პარტია. წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ...
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. —

№ 570 ოთხშაბათი, სექტემბრის 12 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 150,000

ეროვნული ბიბლიოთეკა


## სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი

ა. წ. სექტემბრის 16-იდან სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ანახლებს ყოველ-კვირეულ სალიტერატურო გაზეთის გამოცემას; ნაცვლად „ლომისი“-სა გამოვა კვირას 16 სექტემ.

## ხომლი

მონაწილეობას მიიღებენ ყველა ცნობილი ქართველი მწერლები.
მისამართი: ხელოვანთა სასახლე (სერგის ქუჩა № 13) ტელეფონი № 17—51.

3—2 კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი.



### გაზეთი „ტრიბუნა“

ენკენისთვის 15-დან ღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად . . . . . . 4.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის . . . . . 5.000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 200.000 „


## ომის საშიშროება

გაღრმავებული კონფლიქტები, როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში ომის საშიშროების მოხსნას შეუძლებელს ხდიან. ფორმალურად ომი დასრულდა. გამარჯვებულთა მიერ დამარცხებულნი დაიტვირთენ ვალდებულებებით. ვერსალის ზავით დაგვირგვინდა მსოფლიო ომის ფორმალური დასასრული. ფაქტიურად ომის ეპიზოდები კიდევ გადაშლილია ჩვენს წინაშე. გასული ომი საბერძნეთ-ოსმალეთს შორის, რურის ოკუპაცია, იტალეთის დღევანდელი ავანტიურა, ცდა საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ ამხედრებისა, ვოროვსკის მოკვლა, კერზონის ულტიმატუმი და სხვა და სხ. ომის საშიშროების ნათელყოფაა.

გამარჯვებული ქვეყნები, რომელნიც სამეურნეო აღმშენებლობის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და დამარცხებულთა გაძარცვით ცდილობენ ომისგან განადგურებულ რაიონების აღდგენას, ბიუჯეტის შედგენისას პირველ რიგში სამხედრო ხარჯებს ათავსებენ, აძლიერებენ შეიარაღებულ ძალას, აფართოვებენ სამხედრო ფლოტს, აშენებენ საჰაერო ბრძოლის იარაღებს.

მუსოლინის „ჰუმანიური“ სულისკვეთება, რომელიც იტალიელ მოქალაქეთა გვამებზედ ასვლით აღწევს პოლიტიკის სათავეში გაჩერებას, ორიოდე იტალიელი აფიცრის მოკვლისათვის საბერძნეთის კუნძულების ოკუპაციას აწარმოებს. ელჩთა კონფერენციის მიმართვა საბერძნეთისადმი, რომელიც 7 მუხლისაგან შესდგება და მოითხოვს საბერძნეთისაგან ყოველივე მოსათხოვს, არსებითად მუსოლინის ულტიმატუმის ერთი ვარიანტია.

ბურჟუაზიას ჭეშმარიტად, რომ თავის ბატონობისათვის აქვს შექმნილი საერთაშორისო სამართლის დოგმები და საერთაშორისო ურთიერთობის ტრადიციები. საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლის მკვლელს, ცნობილ რევოლიუციონერის გამგმირავს ხოტბით შეეგება ბურჟუაზიული პრესა. მაშინ არც ელჩთა კონფერენციის პროტესტი აღმოცენებულა, არც პრემიერთა აღშფოთება მომხდარა. დღეს კი მეფის აფიცრების მკვლელობისათვის, რომელიც საბერძნეთის ტერიტორიაზედ მოხდა, შექმნილია საერთაშორისო ყაყანი. სამხედრო მოქმედება მოძრაობაშია მოყვანილი. ზოგი სახელმწიფო მობილიზაციას შეუდგა. ერთა ლიგა სხდომებს უშედეგოთ ასრულებს. პატარა ანტანტის სახელმწიფონი ლიგიდან გამოსვლით იმუქრებიან.

ცხადია კონფლიქტის გაღრმავება და ახალი ომის წინაშე დადგომა მოულოდნელი არ არის.

გერმანიაშიაც სერიოზულ მოძრაობას აქვს ადგილი. საკმაოა გერმანეთის მშრომელმა ხალხმა სტინენის ნოქარი შტრეზემანი დაამხოს, რომ გერმანეთის მუშათა კლასს თავს დაესხმებიან დიდი და პატარა სახელმწიფონი „წესიერების აღსადგენად“. დასავლეთშიაც ომის შესაძლეობა მოხსნილად ვერ ჩაითვლება.

კაპიტალისტური კულტურა თითქოს მსოფლიოს თვითმკვლელობას ახდენს. ათეული მილიონების გალების შემდეგაც ომის შესაძლეობა კიდევ თვალწინ არის აქტიური. საერთაშორისო მენშევიზმი კი კაპიტალიზმის აღორძინების პროექტებს ამზადებს, კაპიტალიზმის აღდგენით სურს სოციალიზმის მოახლოვება.

ცხადია, ომის საწინააღმდეგო ძალად უმთავრესად საბჭოთა ქვეყნებია და კომინტერნი, რომელიც ხელმძღვანელობს რევოლიუციონურ მოძრაობას. ომის საფრთხეს მოხსნის მხოლოდ სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული მშრომელი ხალხი.

## დღიური

— ინგლისის პრესა კმაყოფილია ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებისა.

— იტალია სთანხმდება ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებას.

— ამერიკიდან რუსეთში სამუშაოდ მოდის 28 მექანიკი თავისი იარაღით.

— თეირანში გაიხსნა რუსეთ-სპარსეთის ბანკი.

— საბერძნეთმა მიიღო ელჩთა კონფერენციის დადგენილება, ხოლო მოითხოვს კორფუს საჩქარო ევაკუაციას.

— „ერთა ლიგის“ კომპეტენციის საკითხის განხილვა ზედმეტად მიაჩნიათ, რაკი კონფლიქტი მოგვარდა.

— ამერიკის მინისტრის გუვერის აზრით იაპონია მალე წამოდგება ფეხზედ.

— ტოკიო ისევ იწვის.

— ორშაბათს ტოკიოს რაიონში გამეორდა მიწის ძვრა.

— ირლანდია მიიღეს „ერთა ლიგაში“.

ეკო—დე ბენში მოხდა ლორდ სესილისა და ბალდვინის თათბირი იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის მიერ შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. საერთო აზრით „ერთა ლიგის“ კომპეტენციის საკითხის განხილვა ზედმეტია, რადგანაც კონფლიქტი უკვე გადაწყდა დადებითად.

### გერმანიის ამბები

**ბერლინი.** „ბერლინერ ტაგებლატი“ იტყობინება პოლონეთში გერმანელების მიმართ რეპრესიების გაძლიერების შესახებ.

**ბერლინი.** „რეინო-ვესტფალის ვესტნიკ“-ის ცნობით რურში ნახშირისა და კოკსის მარაგი ამოწურულია. მუშები უარს ამბობენ მუშაობის განახლებაზე. ამრიგად საფრანგეთი სექტემბერში ეტყობა ვერც ნახშირსა და ვერც კოკსს ვერ გაიტანს.

**პარიზი.** „ფიგაროს“ ცნობით საერთაშორისო ტრიბუნალმა ჰააგაში გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც აწტკიცებს, რომ თანახმად ვერსალის ხელშეკრულებისა, კილის არხი ითვლება საერთაშორისოდ და თავისუფალია ყველა გემებისათვის.

**ბერლინი.** ბოლო დროს ბავარიაში ძლიერდება ფაშისტური მოძრაობა. როზენგაიმში სოციალისტ—მუშებს შეტაკება მოუხდათ გლეხთან, რომელიც ფაშისტურ პროპაგანდას აწარმოებდა. ფაშისტები შეცვივდნენ კავშირის სახლში და აიკლეს. მოკლეს ერთი მუშა—კომუნისტი და დასჭრეს ოთხი.

**ლონდონი.** გერმანიის მთავრობა პარიზში აგზავნის თავის წარმომადგენლებს, რადგანაც ფიქრობენ რომ საფრანგეთი გერმანიასთან უშუალოდ მოლაპარაკების დროს უფრო წავა დათმობაზედ. ბერლინში ფიქრობენ, რომ მალე იძულებული იქნებიან მოსპონ პასიური წინააღმდეგობა.

**ბერლინი.** საფრანგეთის გაზეთები განაგრძობენ ლაპარაკს გერმანიისა და საფრანგეთის ბანკირებსა მწარმოებელთა შორის საიდუმლო მოლაპარაკებაზე. ფიქრობენ ეს მოლაპარიკება არის მომზადება ფორმალურ მოლაპარაკებისა, რომელიც მალე დაიწყება.

**ბერლინი.** დამვიდიეში დაღუპულ მხედართა ძეგლის გახსნის დროს პუანკარემ განაცხადა, რომ მიუხედავად გერმანიის სრული გაღატაკებისა, საფრანგეთს სურს მიიღოს ანაზღაურება და იგი არაფერს არ დაუთმობსო.

**პარიზი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში საფრანგეთის ფინანსიური წრეებს ემჩნევათ დიდი ინტერესი რუსეთის ფასიან ქაღალდებისადმი, რასაც ხსნიან რუსეთსა და ფრანგ საწარმოო საზოგადოებათა შორის ურთიერთობის აღდგენით და დემონზის დაბრუნებით.

**ბერლინი.** საბერძნეთის მთავრობაში იაპონიის ელჩს კონსტანტინოპოლში აცნობა ლოზანას ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

**პარიზი.** კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია წარმატებით მიმდინარეობს, თანახმად საერთაშორისო კომისიის მიერ გამომუშავებულ გეგმისა.

**ლონდონი.** ჟენევიდან მიღებულ ცნობით, „ერთა ლიგამ“ ირლანდია ერთხმად მიიღო ლიგის წევრად.

**პარიზი.** ესპანეთის ახალმა კაბინეტმა მოიწონა მაროკოზე შეტევის პროექტი. მთავრობაში ძლიერდება კონსერვატორებისა და კლერიკალების გავლენა.

საბერძნეთი დასთანხმდა ელჩთა კონფერენციის დადგენილებას და შეიტანა შვეიცარიის ბანკში საჭირო თანხა.

**ლონდონი.** სამხრეთ-სლავია და იტალია ვერ თანხმდებიან ფიუმეს საკითხში. ბელგრადის მთავრობა გამოთქვამს სურვილს, ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდოს შვეიცარიის არბიტრაჟს.

### მიწის ძვრა იაპონიაში

ამერიკის სავაჭრო საქმეთა მინისტრის ჰუკერის აზრით, იაპონია მალე წამოდგება ფეხზედ. ორი კვირის შემდეგ იაპონიის რკინის გზები აღდგენილი იქნება. იაპონიის მთელი ზარალი ვერ აღწევს 5 მილიარდ დოლარს და შესაძლებელია ერთ მილიარდსაც არ აღემატოს. აღდგენის მიზნით იაპონიას შეუძლიან გამოუშვას სესხი.

ტოკიოდან იტყობინებიან მიწის ძვრის მსხვერპლის შემოწმებულ ცნობებს: ტოკიოში სთვლიან 150,000 მსხვერპლს, მათ რიცხვში 80,000 მკვდარი. იოკაჰამში დაზარალდა 150,000, მათ რიცხვში 20,000 მოკლული. ტოკიოში მოისპო 300,000 სახლი. ცის ქვეშ დარჩა 2.500,000 მცხოვრები.

ცეცხლი ტოკიოში ისევ მძვინვარებს. ფიქრობენ, რომ რამდენიმე დღეში აღდგენილი იქნება წყალსადენი.

იაპონიის სატახტო ქალაქი უფრო მეტ უბედურებისაგან გადაარჩინა იაპონიის პროლეტარიატის გმირობამ და თავდადებამ.

„როსტას“ განყოფილების გამგე ტოკიოში, ანტონოვი ცოცხალია და იმყოფება კობეში.

რუსეთის წითელი ჯვრის მიერ ვლადივოსტოკიდან იაპონიაში გაიგზავნა 400,000 მან. (ოქროთი) სხვა და სხვა პროდუქტები.

წითელ ჯვარს განზრახვა აქვს გაგზავნოს იაპონიაში კიდევ რამდენიმე სამკურნალო-საგამომკვლევო პუნქტი.

ტოკიოდან ლონდონში მიღებულ ცნობით ორშაბათს დღისით ტოკიოს რაიონში განმეორდა მიწის ძვრა, რამაც დიდი პანიკა გამოიწვია მცხოვრებლებში. მოკლულია 50 ადამიანი, ბევრი დაჭრილია. საერთო ზარალი უმნიშვნელოა. მიწის ძვრამ გამოძახილი ჰპოვა ინდოეთში, კალკუტას რაიონში, ხოლო ზარალი არ მოუტანია.

ვულკანი ფუჯი—იამა ისევ მოქმედობს მთელი სიძლიერით.

იაპონიის საზღვაო ატაშემ ლონდონში მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ სამხედრო გემები იოკოჰამში არ დაღუპულან.

იაპონიაში ყველა სახელმწიფოების საელჩოები დაზარალდა, ხოლო ზოგი ერთიანად განადგურდა, ზოგი კი დაზარალდა ნაწილობრივად.

### მუშათა მოძრაობა.

**პარიზი.** (საფრანგეთი). გაზეთ „ტუზულ რადიკალ“-ში ვანდერველდე სწერს, არ შეიძლება მოვთხოვოთ საფრანგეთის სოციალისტებს მთლიანი ტაქტიკა, რადგანაც საფრანგეთში ჩრდილოეთსა, ცენტრსა და სამხრეთში სულ სხვადასხვანაირად ესმით სოციალიზმიო ამისათვის იგი უმჯობესად სთვლის ორგანიზაციებს ნება დართონ ტაქტიკურ საკითხებში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებით იხელმძღვანელონ.

**რომი.** (იტალია). ტრიესტში, ლუგანოში და კამარატში სოციალისტურ სექციების მიერ გამოტანილ რეზოლიუციაში აღნიშნულია ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა გაზეთ „წითელ გვერდის“ რედაქტორის პარტიიდან გამორიცხვით, და მოითხოვენ საგანგებო კონგრესის მოწვევას ამ საკითხის განსახილველად.

**პარიზი.** გაზის ქარხნების მუშათა გაფიცვა გრძელდება. საზოგადოების დირექციამ გადასწყვიტა დაითხოვოს ყველა მუშა, რომელიც შაბათს არ შეუდგება საქმეს. გაფიცულთა სასარგებლოთ შეგროვებულია 50.000 ფრანკზედ მეტი. შრომის უნიტარულმა კონფერენციამ შესწირა 18.000 ფრანკი.

**პარიზი.** სტრასბურგში გახსნილმა კომუნალურ მუშათა პროფკავშირის ყრილობამ, რომელიც ემხრობა შრომის საერთო კონფერენციას, წლიური ხელფასის რაოდენობა განსაზღვრა არა ნაკლებ 5,400 ფრანკისა და მოიწონა მუშათა კონტროლის შემოღება.

**პრაგა.** (ჩეხო-სლოვაკია). ჩეხიის კომპარტიის მიერ სამთამადნო წარმოების მუშათა გაფიცვის დასახმარებლად მოწვეულ თათბირზედ მოწვეული იყვნენ ყველა სოციალისტური პარტიები და მუშათა ორგანიზაციები, მაგრამ გამოცხადდნენ მხოლოდ

## [illegible]

### ზაპროსტას ცნობები 11 სექტემბრიდან

**იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.**

„მატენის“ თანამშრომელთან საუბარში მუსოლინმა განაცხადა, რომ თუ ელჩთა კონფერენციის გამოძიებით დამტკიცდება, რომ მკვლელები ალბანელები არიან, მაშინ იტალია თავის ულტიმატუმს შეამსუბუქებს, მაგრამ თუ მკვლელნი საბერძნეთის მოხელენი აღმოჩნდნენ, მაშინ იტალიის მოთხოვნილებანი შევსებულნი იქნება ახალი რეპრესიებით. გამოძიება უნდა აწარმოონ დიდმა სახელმწიფოებმა. იტალია შეურაცხყოფილია ინგლისის პრესის პოზიციით და განსაკუთრებით ბლოკადის მუქარით.

იტალიის გაზეთების აზრით ელჩთა კონფერენციის დადგენილების შემდეგ გამოძიების შესახებ, „ერთა ლიგის“ ჩარევა საკითხში ზედმეტია. პრესა ფიქრობს, რომ ერთა ლიგას ეშინიან მიმართოს გადამწყვეტ ზომებს, რათა ამით ხელი არ მოაწეროს თავის სასიკვდილო განაჩენს.

ინგლისის პრესა კმაყოფილებით ხვდება ელჩთა კონფერენციის მიერ გიმანსის წინადადების მიღებას, რომელნიც მან შეიტანა ლიგის საბჭოში. კმაყოფილია მითაც, რომ საბერძნეთმა მიიღეს ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილება. „ერთა ლიგას“ ამის შემდეგ დარჩენია მხოლოდ შეამოწმოს მომხდარი ფაქტი.

ინგლისის ოფიციალური წრეები კმაყოფილი არიან საბერძნეთისადმი მიმართულ ელჩთა კონფერენციის ნოტისა.

„სტეფანის“ სააგენტოს ცნობით, იტალიის მთავრობა თანახმაა ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებაზედ. კორფუს ევაკუაცია დაიწყება, მაშინვე, როგორც კი საბერძნეთი შეასრულებს ამ კონფერენციის მოთხოვნილებებს.

ალბანეთის მისსია რომში უარსყოფს ხმებს ალბანეთში წარმოებულ მობილიზაციის შესახებ.

ელჩთა კონფერენციის ორშაბათის სხდომაზედ მოისმინეს საბერძნეთის პასუხი კონფერენციის ნოტაზე და ითათბირეს დადგენილების შესრულების ტეხნიკურ დეტალებზედ.

საბერძნეთი იღებს ელჩთა კონფერენციის დადგენილებას, ხოლო მოითხოვს კორფუს საჩქარო ევაკუაციას.

„სტეფანის“ სააგენტოს ცნობით, მუსოლინმა ტელეგრაფით აცნობა ელჩთა კონფერენციას მისი ნოტის მიღება და გაიმეორა კორფუსა და ახლო მდებერე კუნძულების ევაკუაციის დაპირება, ხოლო იმ პირობით, რომ საბერძნეთი საბოლოოდ და სრულად გადაიხდის რეპარაციებს.

ათინის სავაჭრო პალატამ გააუქმა თავის დადგენილება იტალიასთან ვაჭრობის ბოიკოტის შესახებ.

ათინიდან ოფიციალურად უარყოფენ იმ ცნობას, ვითომ პატრასში მოხდა ანტი-იტალიური მოძრაობა, რომლის დროსაც დასწვეს იტალიის საელჩო. უარყოფენ აგრეთვე ალბანეთისათვის ულტიმატუმის წარდგენის ცნობას.

ლონდონში სრული კმაყოფილებაა, რომ კონფლიქტი მოგვარდა „ერთა ლიგისა“ და ელჩთა კონფერენციის თანამშრომლობით. ლონდონსა და პარიზში ფიქრობენ, რომ იტალია დაემორჩილება კონფერენციის დადგენილებას და მოახდენს კორფუს ევაკუაციას. „დეილი ტელეგრაფი“ ფიქრობს, რომ მუსოლინზე დიდი გავლენა მოახდინა ლორდ სესილის პოზიციამ „ერთა ლიგაში“ და ბრიტანეთის მთავრობის ენერგიულმა პოლიტიკამ და დაჟინებითმა მოთხოვნამ ლიგის სტატუტის დაცვის საკითხში.

კომუნისტები და გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლები.

**ნიუ-იორკი.** რუტენბერგის პროცესის ხელმეორედ განხილვა, რომელსაც ბრალდება მიჩიგანში კომუნისტურ კონფერენციაზედ გამოსვლა, გადაიდო 1 ოქტომბრისათვის.

**თეირანი** (სპარსეთი). გლეხთა აჯანყება ისფაგანის ოლქში ჩააქრეს.

# უცხოეთი

**რომი.** ს. ს. რ. ა. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იორდანსკიმ იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა საპროტესტო ნოტა ყოფილ მეფის მოხელეთა მიერ ს. ს. რ. კ. დიპლომატიურ საელჩო და სხვა ფუნქციებისა და შენობის მითვისების გამო. იორდანსკი მოითხოვს მათ წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომების მიღებას.

**რიგა** (ლატვია). სოც.-დემოკრატების მიერ გამართულ მიტინგზედ ილაპარაკეს ჰუისმანსმა და წერეთელმა. ჰუისმანსმა განაცხადა, რომ იგი ამაყობს ოპორტიუნისტის სახელით და დარწმუნებულია მხოლოდ რეფორმები და ევოლიუცია იხსნის ქვეყანას. ბურჟუაზიულმა ნაწილმაც კი მეტად ზომიერად სცნა ჰუისმანსის სიტყვა.

წერეთლის განცხადებით, სოც.-დემოკრატებმა საქართველოში სოციალიზმის განხორციელებაზედ ხელი აიღეს ობიექტიურ პირობების გამო.

**რიგა.** ახლად დანიშნულმა მოსკოვში ლატვიის წარმომადგენელმა ოზოლმა განაცხადა, რომ ახლა იწყება რუსეთ-ლატვიის თანამშრომლობის ხანა. ლატვია უნდა დაეხმაროს რუსეთს საგარეო ვაჭრობაში. ოზოლის აზრით, ლატვიის ფაბრიკები, რომელნიც რუსეთში არიან გადატანილი და იქ კარგად მუშაობენ, არ უნდა იქნენ უკან დაბრუნებული.

**ნიუ-იორკი** (ამერიკა). მექანიკების ჯგუფი, შემდგარი 28 კაცისაგან, მოემგზავრნენ რუსეთში კუზნეცის ბასეინში სამუშაოდ. ჯგუფს თან მოაქვს 20,000 დოლარად ღირებული სამუშაო იარაღები და თან მოსდევს ამერიკის ინჟინერი ალბერტ ოკტერი.

**თეირანი.** (სპარსეთი). თეირანში გაიხსნა რუსეთ-სპარსეთის ბანკი. გახსნას დაესწრნენ ს. ს. რ. კ. სრულ-უფლებიანი წარმომადგენელნი, სპარსეთის მთავრობა და ბევრი სპარსეთისა და რუსეთის მოქალაქენი. სპარსეთის ვაჭარნი მადლობას უხდიდნენ ს. ს. რ. კ. ბანკის გახსნისათვის, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ აწარმოონ რუსეთთან ვაჭრობა უცხოეთის ბანკების ჩაურევლად.

# ახალი ამბები

მე 3-მე სავაჟო ტეხნიკუმში ხელ-მეორე გამოცდები დაიწყება 17 სექტემბერს, დილით 9 საათიდან.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ქართული ჯარების პოლიტგანყოფილების გამოცემა: **„წერილი წითელ არმიელს“** თენგიზ ჟღენტისა. წიგნი ლამაზადაა გამოცემული და ღირს ექვსი შაური საქონლის მანეთით.

— **მუშათა საზამთრო კლუბი.** კოოპერატივი მუშა-მოსამსახურეთათვის ეწყობა საზამთრო კლუბები, სადაც გაიმართება უფასო წარმოდგენები.

— **სასურსათო ფონდი.** ამიერ კავ. სახ. კომისართა საბჭომ დაავალა ა. კ. სასურსათო კომისარიატს შეიმუშავოს გეგმა სასურსათო ფონდის განაწილებისა: რომელიც შემოდის სასოფლო გადასახადიდგან.

— **დელიჟან-ალექსანდროპოლის გზის შეკეთება.** ხსენებულ გზის შეკეთების სმეტა დაამტკიცა ა. კ. სახკომისართა საბჭომ, რისთვისაც გაღებული იქნა 12 მილიარდი მან.

— **აქციონური საზოგადოება ა. კ. ავიაციისა.** ამიერ-კავკასიის კომისართა საბჭომ დაადგინა ხსენებულ საზოგადოების ზოგიერთ მუხლის შეცვლა, რითაც საზოგადოებას ეძლევა ნება, კერძო პირებსაც სიჰყიდოს აქციები.

— **წითელ არმიელების მივლინება სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენაზე.** გაცემულია 200 ჩერვონეცი, რომლითაც უნდა გაიგზავნოს წითელ-არმიელები სამეურნეო გამოფენაზე.

— **ახალ ქალაქის მაზრის აღდგენა.** ახალ-ქალაქის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე რათა მან გაიღოს თანხა ახალ ქალაქის მაზრის აღსადგენათ. ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ ამ მიზნისათვის გაიღო 125,000 მანეთი ჩერვონცებით.

— **დახმარება ზემო-ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურს.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს ტფ. აღმასკომს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საჭიროებისათვის 450 მილიონი მანეთი.

— **წყალდიდობისაგან დაზარალებულ რაიონების აღსადგენად.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა რაჭის აღმასკომს წარმოადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა წყალდიდობისაგან დაზარალებულ რაიონების აღსადგენად. ავანსის სახით ჯერ-ჯერობით მიეცა 300 ჩერვონეცი.

— **არსენ ჯორჯიაშვილის მშობლების უზრუნველყოფა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს, რომ არსენ ჯორჯიაშვილის მშობლებს დაუნიშნოს მუდმივი დახმარება საერთო მიღებული წესით.

— **ხონის სახალხო სახლისათვის.** საქართ. სახ. კომისართა საბჭომ ხონის სახალხო სახლის ასაშენებლად გაიღო 150 მან. ჩერვონცებით.

— **სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის.** ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის დამატებით გაიღო 128,200,000 მანეთი.

— **სესხი ჩათახის ქარხანას.** ა. კ. სახ. კომ. საბჭომ ჩათახის ქარხნისათვის სესხათ გაიღო 8,000 მან. ჩერვონცებით.

— **მოსავლიანობის ხარისხის დაწევა.** სასურსათო სახ. კომისარიატის თხოვნის თანახმად, საქ. სახ. კომ. საბჭომ მოსავლიანობის ხარისხი ახალქალაქის მაზრაში 5 ხარისხიდან დასწია 3 ხარისხამდე, გორის—5-დან 4-ზე, თელავის—6 დან 4-ზე.

— **კოჯრის საბავშვო სახლი.** ამ ჟამად კოჯრის საბავშო სახლში იმყოფება 2,000 ბავშვი.

— **წარმოდგენა წითელ არმიელებისათვის.** პარასკევს, 14 სექტემბერს, წითელ არმიელთა კლუბში გაიმართება უფასო წარმოდგენა წითელ არმიელებისათვის.

— **ვალიუტით ვაჭრობისათვის.** შავ ბირჟაზე შეპყრობილი იქნა 15 სპეკულიანტი, რომელთაც კონფისკაციის წესით ჩამოართვეს 856,000.000 მ. ა. კ. ნიშნებით, 3½ ჩერვონეცი, 68 ოსმალ. ქაღალდის ლირა, 5. ც. ოსმალური ოქროს ლირა 25 მ. ოქრ. 41 დოლ. და 1,760.000 მან. საბჭოთა ფულის ნიშანი.

— **დასასვენებელი სახლებში მყოფთა რიცხვი.** 1 სექტემბრამდე ირიცხებოდა 2087 მუშა-მოსამსახურემდე. აქედგან 75-პროც. ფიზიკური მომუშავე ხოლო გონებრივი—25-პროც.

— **სამოქალაქო ფლოტის სააქციონერო საზოგადოება.** ა. კ. სამოქალაქო ფლოტის სააქციონერო საზოგადოებაში მონაწილეობის მისაღებად სასურსათო სახალხო კომისარიატმა გაიღო 3,000 მანეთის ჩერვონცებით და შეიძინა სამასი პაი.

— **ქურდობა.** მე-10-ე სამილიციო რაიონში ტფილისის სადგურზე მატარებლით ჩამოსულ მგზავრს პაპასკირს ხელიდგან გამოსტაცეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 300 მილიონ მანეთისა, ერთი ბოროტ-მოქმედი შეპყრობილი იქნა, რომელიც აღმოჩდა დარჩო სომხიევი და აღმოჩდა ნივთებიც, რომელიც გადაეცა პატრონს.

— **ბინის გაქურდვა.** მე-12-ე სამილიციო რაიონში. პლეხანოვის პრ. № 16 [illegible] იქნა მოქ. ელისაბედ [illegible] ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 343 საქონლის მან. ეჭვით დაპატიმრებულია მეეზოვე მიკირტუმ ელიანცი.

— **ქურდის შეპყრობა.** მე-2-ე სამილიციო რაიონში 7 სექტემბერს დილის 5 საათზე შეპყრობილი იქნა ქურდი რეციდივისტი ისაკ ლორთქიფანიძე თავის ამხანაგებით, რომელთაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ რევოლვერი სისტემის „სმიტვისონი“ № 12 და 515 ცალი ტყვია.

— —

### შეცდომის გასწორება

„ტრიბუნის“ გუშინდელ № 569-ში შეცდომით, დამატებით ჩაწერილია ფელეტონში „ძველი თამასუქებში“ მე-3 გვერდზე მესამე სვეტის მე-34 სტრიქონიდან „ჩვენის აზრით, სოციალური რევოლიუცია ზევიდან კი არ დაიწყება, არამედ პირდაპირ რევოლიუციას“.

ამავე გვერდზე „მეცნიერება და ტეხნიკა“-ს მაგიერ დაწერილია: „მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი“.

# მუშათა ცხოვრება

### პასუხად ამხ. ი. ლომაძეს

მე არ მესმის რატომ არ რცხვენია ამხ. ი. ლომაძეს ასე შეუფერებლათ რომ იცავს ძმათა ბუხბინდერებს და სხვას.

ის იძახის: ერთი მსახურობს დამზღვევ კასის ფულების ამკრებ აგენტათო, მეორე ბირჟასთან არსებული უმუშევართა დამზღვევ განყოფილებაში მოლარეთო.

მე ვეკითხები ამხ. ი. ლომაძეს: განყოფილებას მთავარ კასასთან არაფერი არა აქვს საერთო? მაშ ვისი განყოფილება არის ეს? ამაზე ბევრი ამოცანები არ არის საჭირო; მე თვითონ და სხვამაც იცის, რომ უმუშევართა დამზღვევი კასა უმთავარ კასოთ ვერაფერს ვერ აკეთებს. მიტომ რომ ისენი ერთმანეთის ნაწილები არიან.

იძახით ბუხბინდერებს ცალ-ცალკე აქვთ ოჯახებიო. მე სრულებითაც არა მქონია მათ ოჯახურ მდგომარეობაზედ მსჯელობა, რომელიც სრულიადაც არ არის საინტერესო ცალ-ცალკე ცხოვრობენ თუ ერთად. ეს მითხარით: ხომ შეიძლება ცალ-ცალკე ჰქონდეთ ოჯახი და ძმები რომ იყვნენ? მე მგონია ესეც ამბანური რამაა. რაც შეეხება ჯიბეების ერთობას, მე არ მინახავს ძმები ერთათ სცხოვრობდეს და ჯიბეც ერთი ჰქონდეთ. მე გეკითხებით ამხ. ი. ლომაძევ: რა საკითხი არის შრომის კომისარიატში ძმათა ბუხბინდერების შესახებ დასმული: ცხადია თქვენ პასუხს ელით და ისე მოიქცევით.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ იყო შეტანილი განცხადება ძმათა ბუხბინდერების შესახებ შრომის კომისარიატის სახელზე, რომელიც მიიღო პასუხის მგებელმა მდივანმა ამხ. ქურდოვანიძემ. წაკითხვის შემდეგ პასუხი ასეთი იყო: კარგიო, განყოფილების მოლარეს აუცილებლათ მოვხსნითო, როგორც სახელმწიფო ენის უცოდინარსო და რადგანაც ძმების ერთად სამსახური არ შეიძლებაო. მეორეს გამომცვლელი არა გვყავსო ჯერ-ჯერობით ქართულის მცოდნეო. მე მგონია ამხ. ქურდოვანიძემ კარგათ იცოდა ყველაფერი საქმის შინაარსი და იმიტომ მომცა გარკვეული პასუხი. დარწმუნებული ვარ ეხლაც ამ აზრზე იქნება ამ საქმის შესახებ ამხ. ქურდოვანიძე.

ამხ. ი. ლომაძე იძახის: ქართული საუცხოვოთ იციანო ძმათა ბუხბინდერებმაო და მისაყვედურებს არ არის ლამაზი ტყუილის ლაპარაკიო.

არ მესმის რა დროისთვის ინახავენ ქართულ ცოდნას, თუ საქართველოში არ გამოაჩენენ?

თუ შნო აქვთ დაიწყონ ქართულად საქმის წარმოება ამაზე მადლობასაც მოვახსენებთ.

წინააღმეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ქართული ბუხბინდერებმა საუცხოოდ იციან, როგორც თქვენ ლაპარაკობთ და მაინც გაურბიან მას, მაშინ ისინი პასუხის გებაში უნდა იქნენ მიცემულნი, როგორც საბოტაჟნიკები და **რევოლიუციონური კანონების დამღრვევნი.**

ნაციონალიზაციის გატარებაზე მე ვეთანხმები ამხ. ი. ლომაძეს. კურსები მაშინ არის საჭირო, რომ სახელმწიფო ენის მცოდნეები არა გვყავდეს. თუ გნებავთ ასობით მოითხოვეთ ქართულის მცოდნეები, რომლებიც სულ უსაქმოდ დადიან წლობით. არაფერი ბოროტება არ იქმნება სახელმწიფო ენის უცოდინარებმა დასტოვონ ადგილები იმ შემთხვევაში, თუ კი გვყავს მისი შემცვლელი ქართულის მცოდნენი და მონახონ შესაფერი ადგილი. მაშ ჩვენ მოვალენი ხომ არა ვართ სახემწიფო ენის მცოდნეებმა წლობით ვიაროთ უსამსახუროთ ან რა დავაშავეთ ასეთი, რო ჩვენი ბრალია ქართველებად დავიბადენით.

**ი. კაციტაძე.**

— —

# ძველი თამასუქები

2.

**პასუხი ამხ ფ. მახარაძეს და ი. ბ.**

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას რეაქციონურ მოვლენად ის მიაჩნდა, რომ სოც.-ფედ. პარტია ყოველ ეკონომიურ საკითხს უვლიდა ამავე დროს ეროვნულ თვალსაზრისიდან.

ეროვნული საკითხი გაცილებით რთულია, ვიდრე კლასობრივი. მას მუდამ ორი მომენტი ახასიათებს: შინაური და საგარეო მომენტი. შინაური მომენტის დროს კლასობრივი მომენტი სავსებით აშკარა და მძლავრია; როგორც საგარეო კატასტროფის წინაშე დგება ქვეყანა, მყისვე კლასობრივი მომენტი ჩლუნგდება მთელი ერის ინსტიქტებით. ამიტომაა დიდი ომების დროს ყველა პარტია პატრიოტული ხდება და ამიტომვეა სამართლიანადაც აღიარებენ: რუსეთი ვერ დაამარცხეს ინტერვენტანტებმა იმიტომ, რომ ბოლშევიკების მთელმა მოღვაწეობამ ხალხის სხვა და სხვა წრის არსებითი ინტერესი გამოხატაო.

საუცხოვო დამახასიათებელია ამ მხრივ რამდენიმე მაგალითი. გრაფი რევენტლოვი გერმანიის რეაქციონური პარტიის მეთაურია, მაგრამ ყველაზე მეტი დამცველი რუსეთთან კავშირისა, რუსეთის ცნობისა, ვინაიდან მას სავსებით აკმაყოფილებს გერმანიის განთავისუფლება საფრანგეთის კლანჭებიდან, თუნდაც ამან ბოლშევიზმი გამოიწვიოს. რუსის რეაქციონურ გაზეთში, „ნოვოე ვრემიაში“, რომელიც ბელგრადში გამოდის საოცარი წერილები იბეჭდებოდა ვრანგელის წინააღმდეგ, რომელიც არსებითად ეხმარებოდა პოლონეთს, აქებდნენ ბოლშევიკებს და ნატვრობდნენ წითელი ჯარის მიერ ვარშავის აღებას. პროფ. პროკოპოვიჩმა, რუსის ნაციონალისტმა და რევიზიონისტმა პრაგაში ლექცია წაიკითხა მაისში და ის ამბობს: ყველამ უნდა იწამოს რუსეთი, ვინაიდან იქ ნაციონალური საქმე კეთდებაო.

ამ მაგალითებით ჩვენ შემდეგს ვამბობთ: თუ კლასობრივი მომენტი მუდამ ერთი თვისებისაა და ის მხოლოდ განსაზღვრულ კლასს აკმაყოფილებს, ეროვნული მომენტი მუდამ ორი თვისებისაა, რომელიც ხშირად მოწინააღმდეგე კლასებს აერთებს და აკმაყოფილებს. ამის ტიპიურ მაგალითს იძლევა თანამედროვე რუსეთი, რომელიც სასტიკ ნაციონალიურ-ეკონომიურ პოლიტიკას ანვითარებს.

მოგეხსენებათ, რომ რუსეთში მფარველობითი ვაჭრობის სისტემაა შემოღებული. ეს სისტემა თეორიულად ბურჟუაზიამ გამოიგონა, იგი ბურჟუაზიას იცავს უცხო ქვეყნის კაპიტალის მეტოქეობიდან, მაგრამ ეს ეროვნული ეკონომიკის სისტემა მუშასაც ეგუება, რამდენადაც ის იცავს ეროვნულ წარმოებას განადგურებისაგან. აი ეკონომიკაში გადატანილი რთული მომენტი ეროვნული საკითხისა.

„ერების ცხოვრებაში“ (№ 3—4) პასუხისმგებელი კომუნისტი ბროიდო სწერს: „ნაციონალურ პოლიტიკის ანგარიშის გაუწევლად სამეურნეო საკითხის გადაჭრა კი არ სწყვეტს ეროვნულ საკითხს, არამედ ასამარებს“. ბროიდი ხედავს სხვა და სხვა ერების მშრომლებში **არა ერთსა და იმავე ინტერესებს, არამედ „სპეციალურ ინტერესებს“.** მხოლოდ და მხოლოდ ასევე აყენებდა არჩილი ეროვნულ საკითხს. მაგრამ არჩილის მიერ პროტექციონიზმის წამოყენებამ ხუთმეტი წლის საგინებელი მასალა მისცა სოციალ-დემოკრატიას, თუმცა არჩილი სავსებით მართალი იყო.

კარგად უნდა ვიცოდეთ: ეროვნული საკითხის მთელი სირთულის მიუხედავად არჩილი მუდამ აფუძნებდა ეროვნულ საკითხს სოციალიზმის იდეებზე. იგი სწერს: „ეროვნული კითხვა აუცილებლად სოციალისტურ კითხვას უნდა დაექვემდებაროს. სოციალიზმი სამართლიანად სწყვეტს ეროვნულ საკითხს“. კიდევ მეტი, არჩილს ეროვნული რევოლიუციის აზრიც არ ესმოდა თუ მას წინ არ უსწრებდა სოციალური რევოლიუცია. 1905 წელში არჩილი სწერდა: **„ჩვენ უარვყოფთ პოლიტიკურ და ეროვნულ ხასიათის რევოლიუციას, თუ მას წინ არ უძღვება სოციალური ხასიათის მოძრაობა“.**

სოციალისტურ ნიადაგზე გადმოტანილი ეროვნული საკითხი არჩილს არ ესმოდა ვიწრო ეროვნული ჩარჩოში მომწყვდეული. საქართველოს დამოუკიდებლობა მას არ სწამდა სეპარატიზმის თვალსაზრისით. არჩილი სწერს: „ბ. ტეზერელის მოხსენების შინაარსიდან სჩანს, რომ ის მოსურნეა რუსეთს მთლად ჩამოაშოროს საქართველო. საჭიროა ეს? ან შესაძლებელია ეს ჩვენთვის? **ცხოვრების ევოლიუციას რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ ერები სოლიდარობისაკენ,** თავისუფალ **გაერთიანებისაკენ მიისწრაფიან და არა განკერძოებისაკენ.** თუ სეპარატიზმი ერთად-ერთი და საუკეთესო საშუალებაა ერის განვითარებისა, მაშინ, მესმის ჩვენც უნდა მივიღოთ იგი, მაგრამ ეს ასე არ არის. ავტონომიური, ხოლო პოლიტიკურად დამოკიდებული კანადა, ან კიდევ ავსტრალია რითი ჩამოუარდება, ვსთქვათ, პოლიტიკურად დამოუკიდებელ სერბიას ან ისპანიას? **თანამედროვე პირობებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოს შენახვა და დაცვა ადვილი საქმე არ არის.** გარდა ამისა, **პოლიტიკური დამოუკიდებლობა პატარა სახელმწიფოსი განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება ხალხს.** ეს პრინციპიალური მხარეა“. შემდეგ არჩილი ითვალისწინებს რუსეთის და კავკასიის კონკრეტ მდგომარეობას და ასკვნის: **„ერთ პატარა სახელმწიფოს დაარსება კავკასიაში... იქნება მიზეზი მუდმივი შუღლისა, შოვინიზმისა და დავისა ამ ერთა შორის. ყოველივე ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, სეპარატიზმზე ხელი უნდა ავიღოთ.** აღიარება თავისუფალ ფედერატიულ კავკასიისა — ეს სხვა კითხვაა. თავისუფალ ფედერატიულ კავკასიის აღიარებას მეტი პრაქტიკული ნიადაგი აქვს, მაგრამ ამ საგანს აქ არ აყენებენ; **უნდათ საქართველოს განთავისუფლება და კავკასიას არც კი ახსენებენ.** ამიტომ ჩვენ უნდა უარვყოთ სეპარატიზმის პრინციპი და სხვა გზით უშველოთ ჩვენს თავს. **ახალი სახელმწიფოს დაარსება წინააღმდეგია კაცობრიობის ევოლიუციისა, გაერთიანებისაკენ მიმართულ ევოლიუციისა;** ფედერატიულ ავტონომიათა პრინციპი კი არ ეწინააღმდეგება ამ ევოლიუციას—აი მე რა მინდოდა მეთქვა. **მე სეპარატიზმის წინააღმდეგი ვარ“.**

ჩვენ ვრცლად მოვიყვანეთ არჩილის აზრი კონკრეტ შემთხვევაზე იმიტომ, რომ ყველასათვის ნათელი ყოფილიყო და განსაკუთრებით ი. ბ.—სათვის, არჩილის „შოვინისტობა“.

მთელ პროგრამულ და სახელმძღვანელო წერილებს რომ ვითვალისწინებთ სოც.-ფედ. პარტიისას ჩვენ არ შეგვიძლიან არ აღვნუსხოთ, რომ ამ პარტიის საშოში გაცილებით მეტი ნათესაური ძალებია ლენინის თანამედროვე სკოლასთან, ვიდრე მენშევიკებში. პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობა იყო უხამსი, ტლანქი, მთელ რიგ შემთხვევებში ყალბი და რეაქციონური. პარტიის წევრები, რომელნიც მემარცხენე ფედერალისტების გარედ დარჩნენ პარტიის ფალსიფიკატორები, ყალბი მუწუკები იყვნენ, რომელნიც ერთს კითხულობდნენ დაწერილიდან და მეორეს აკეთებდნენ. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამხ. ი. ბ-ს სოციალ.-ფედ. პარტიის მოღვაწეობის ზოგიერთ ეტაპის დახასიათებაში. თვით ჩვენ-აი კიდევ ვაცხადებთ საჯაროდ-თვითონ პარტიის ის ძალები არა ერთხელ გაგვიკრავს ჯვარზე, დაგვიგმია, გაგვიკიცხავს, არა მარტო კონფერენციებზე, მთელ რიგ საჯარო გამოსვლებშიაც დაგვიპირისპირებია ჩვენი თეორია და პრაქტიკა მემარჯვენეების პრაქტიკასთან გაცილებით ადრე, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებას კომუნისტები დაიპატრონებდნენ. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

აქ მე მინდა აღვნუსხო, რომ ამხ. ფ. მახარაძის სიტყვიდან ისე სჩანს, თითქოს მენშევიკები თებერვლის რევოლიუციამდე რევოლიუციონური ძალა იყო, ხოლო შემდეგ გარეაქციონერდნენ.

აქ მრავალი გაუგებრობაა. მენშევიკური პარტია იყო უბრალო დემოკრატიული, სახალხო მასობრივი პარტია. არც მეტი, არც ნაკლები. ვინც რევოლიუციის დროს შინდება და გულზე ხელს იკრებს, ესე იგი ვისაც რევოლიუციის ტეხილი აშინებს და ცხოვრებას უკან მიაქანებს—ის არ არის რევოლიუციონური ძალა. რუსეთის რევოლიუცია საუკეთესო გამოცდაა ყოველი პარტიის. აქ დაისვა სოციალისტური საკითხები და მენშევიკებმა პირველადვე უღალატეს მას, აქ წამოაყენეს საერთაშორისო რევოლიუცია და მენშევიკებმა პირველად უარყვეს იგი. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლიუციის დროს, ესე იგი საქმის დროს, თამასუქების განაღდების დროს—გაკოტრდე და გაიქეც; გამოირკვა, რომ მენშევიკები იყვნენ რევოლიუციონერები და სოციალისტები რევოლიუციისა და სოციალიზმის გარეშე, რომ მათ ამაებთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ჩვენ არასოდეს არ დაგვიმალავს მენშევიკების ღვაწლი, როგორც დემოკრატების. მაგრამ, როგორც ნამდვილ სოციალისტურ მოაზრეთ-მათ ჩვენ არ ვიცნობთ. პირველ შემთხვევისთანავე ისინი გაკოტრდნენ. ბევრი ფიქრობს, რომ მენშევიკები გაკოტრდნენ ბოლშევიკების დროს. არა მენშევიკების სოციალისტური სიკოტრე გამოამჟღავნეს მენშევიკებ-

## კიდევ შოვინისტებზე

ავგისტოს 25, მეისრე ამხ. შაშიაშვილი (სად. ჯალი) აძლევს ყარაჯალის დხ-ს განცხადებას კვირის შვებულების შესახებ. დხ შალკევიჩი ებს განცხადებაზედ რუსულ წარწერას და არდ- განკარგულებისათვის დნ | 2. აშკარაა შალკე- ა გაიგო, რაც ეწერა განცხადებაში. დნ | 2 ს რეზოლიუციას ქართულად № 8767 ავგისტოს ს თარიღით, რომ რადგანაც შაშიაშვილი დიდი მიღებული არაა სამსახურში, ამიტომ შვებუ- ა არ ეკუთვნის საზოგადო წესითო. ასეთი ბის მიღების შემდეგ დხ შალკევიჩი უბრუნებს განცხადებას ისევ დნ | 2-ს შემდეგი წარწერით: Ваша резолюция непонятна. Прошу писать на русском языке; у меня нет переводчиков.—Я не могу прочесть. 3 | IX 23 г. № 829 ДС. Шелькевич.

რაშია საქმე ან რა მოხდა? განცხადება თუ კი წაიკითხა შალკევიჩმა ქართულად დაწერილი, რატომ რეზოლიუცია ვერ წაიკითხა? ან ნუ თუ მთარგმნელი ვერა ნახა? მიემართა იმავ შაშიაშვილისათვის! ასეთი ბიუროკრატ-კანცელარისტი უნდა გაიჯხოს. რას აკეთებს სად. ყარაჯალის ადგილკომი.

მუშკორი კინო.

## პარტიაში

ოთხშაბათს, ამა ენკენისთვის 12, საღამოს ლ 7 საათზე პარტ. ცენტრ. ბიუროში დანიშ- ია **მე-4 რაიკომის მორიგი სხდომა.**

განსახილველია ფრიად სასწრაფო და საჭი- საკითხები.

ვსთხოვ მე-4 რაიკომის წევრებს გამოცხადდენ ომაზე აუცილებლივ აღნიშნულ დროზე.

მე-4 რაიკომის მდივანი **აკ. ხირაძე.**

—

ხუთშაბათს „13“ სექტემბერს, საღამოს 6 ს. ნიშნულია მე-3-ე რაიონის ამხანაგების კრება ს. მოედანი № 2)

**მდივანი.**

—

შაბათს, 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია მე-4 ონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება. ხსენებას წაიკითხავს ამხ. **სერგო ამაღლობელი** დეგ თემაზედ **„უტოპიური სოციალიზმი“.**

დასაწყისი საღამოს 7 საათზედ. შესვლა შეუ- ა პარტიის ყველა წევრთ და თანამგრძნობთ.

**მე-4 რაიკომი.**

—

სამშაბათს, სექტემბრის 5, პარტიის კლუბში დგა მე-2 რაიონის ორგანიზაციის წევრთა და ამგრძნობთა საჯარო კრება ამხანაგებისა. კრება ხსნა სრულ 8 საათზე ამხ. ილ. კაციტაძის თავ- ომარეობით. დღის წესრიგში იყო დასმული.

1) მოხსენება **„პროლეტარიატი და გლე- ა.**

2). სამაცადინო წრის დაარსება.

3). მიმდინარე საკითხები.

მდივანი აუწყებს კრებას, რომ მორიგ მომხსე- ლის ამხ. **პ. ჭანიშვილის** მაგივრად, რომელიც დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ გამოცხადდა, ხსენებას წაიკითხავს **ს. ამაღლობელი.**

მომხსენებელი ფართოდ ეხება კლასთა თეო- ს წარმოშობა-განვითარებას. სრული ლოღიკით მდიდარი არგუმენტაციით იგი ისტორიულად ავევს ამ თეორიის განვითარებას.

მომხსენებელი შედარებით ვრცლად შეჩერდა ასის განმარტებაზე. გაარკვია გაგება სხვა და მომდინარეობათა ამ საკითხში და ლოღიკური ლიზით ნათელ ჰყო შეცდომა პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესთა სხვაობის დასაბუთებისა მარქსისტული სკოლის მიერ. მომხსენებელი შეეხო ცენტრალ დებულებას „პროლეტარიატის და გლეხობის“ ურთიერთობისას, როგორც წარმოების ისე განაწილების პროცესში. მან დაასაბუთა, რამდენად მჭიდრო კავშირია გლეხობისა და პროლეტარიატის შორის. ამიტომ რევოლიუციის პროცესში მათი ინტერესები სრულიადაც არაა დაპირისპირებული, რასაც თანამედროვე რევოლიუცია აუცილებლად ამტკიცებს.

მომხსენებელი შეჩერდა გლეხობის როლის შესახებ რუსეთის რევოლიუციაში განმარტა კომინტერნის თვალსაზრისი კერძოდ რუსეთის და საერთოდ აღმოსავლეთის გლეხური ქვეყნების შესახებ და აღნიშნა თუ რამდენათ სწორი იყო ჩვენი პარტიის მიერ „მშრომელთა კლასის“ წამოყენება, სადაც თავს მოუყრიდა ყველა ჩაგრულთ, რომელნიც განიცდიან სიმძიმეს კაპიტალისტურ მეურნეობისას.

მცირე სიტყვით გამოდის ამხ. შ. ქართველიშვილი, რომელმაც აღნიშნა შინაარსიანობა და სისრულე მოხსენებისა და შეჩერდა საკითხის იმ მხარეზე, რამდენად შაბლონიურიიყო მარქსისტული თეორია კერძოთ გლეხთა საკითხში და საერთოთ მთელ სოციალურ კანვითარების გაგებაში. აღნიშნა გაგება ამ საკითხისა მარქსისტულ მიმდინარეობის სხვა და სხვა ფრთების მიერ, შეეხო კერძოდ ამხ. ლენინის აზრს გლეხთა საკითხში. დაასაბუთა, რამდენად შემცდარია ასეთი გაგება თეორიისა, კონკრეტ დებულებით და დაასკვნა, რამდენად მართალნი არიან რუსეთის რევოლიუციის დღევანდელნი მესვეურნი პროგრესის წინაშე, როგორც მარქსის თეორიის გადამხვეველნი და რამდენად სცდებიან მენშევიკები, მარქსის თეორიის წინაშე გამართლებულნი.

შემოდის სხვა და სხვა შეკითხვებიც.

საბოლოვო სიტყვაში ამხ. ს. ამაღლობელი ვრცელ განმარტებას იძლევა, რამდენად მარქსისტულ მოძღვრებას კერძოდ, მრავალგვარი ინტერპრეტაცია ახასიათებს, რომელნიც ურთიერთ შორის დაპირისპირებაშია.

ობიექტიური თვალთახედვით კი, რევოლიუციის წინაშე აუცილებლად კომუნისტები არიან სწორი ხაზის მატარებელნი და გამარჯვებულნიც, მენშევიკები, რომელნიც მართალია სისწორით შეიძლება იცავდენ მარქსის დოგმებს, მაგრამ რევოლიუციის მოთხოვნებს ვერ იგებენ.

მომხსენებელმა მოხდენილად მოიყვანა ცნობილ გვარდიელის „ტიაჟელი კრესტ“-იდან აღწერა თუ როგორ ანადგურებდენ გლეხებს, სოფლებს მენშევიკურ სამეფოში, როგორ „ურტყამდენ“ ისინი რეაქციონურ გლეხობას ჟორდანიას თეორიის თანხმად და, როგორ „დაჰკრა“ ისტორიამ მათ.

კრებამ მომხსენებელი ტაშით დააჯილდოვა.

რადგან უკვე საათის 11 შესრულდა, დანარჩენი საკითხები გადაიდო მორიგი კრებისათვის.

Nemo

---

თავიანთ მეფობის დროს, დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ძველად რადიკალურ აგრარულ რეფორმის ვერ ჩამონაჭრების სისტემა წამოაყენეს მენშევიკებმა, თუ კიტა აბაშიძე 90 წლიან ერობასაც სასარგებლოდ სცნობდა კარლო ჩხეიძე ყოველ ეროვ- უარყოფდა და ზედმეტ ბარგად მიაჩნ- თუ ფედერალისტები სარგებლობდნენ ქართ- ლ ზუბრების ხმებით „დუმაში“, კარლო ჩხეიძე დეპუტატებულია სოლოლაკის პლუტოკრატიის თებით. ერთი შეწვით, მეორე მოხარშეთ!—უმჯესია ითქვას ორივე პარტიის პრაქტიკაზე.

მაგრამ საგულისხმიეროა შემდეგი გარემოება: ფ. მახარაძეს სიტყვიდან ისმენელი ისეთ შთაბეჭდილებას იღებს, თითქოს მენშევიზმსა და ლშევიზმს შორის უბრალო „ნედორაზუმენიებს“ ჰქონდა ადგილი, რომ ისინი ერთმანეთს სულ გუშინ შორდენ.

ისტორიის ასეთი გამარტივება დღემდე არც ერს მოუხერხებია და არც მაკოლეის. მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის სერიოზული განსხვავების ისტორია იწყება 1903 წლიდან. არც სახელმწიფოს გაგება, არც აგრარულ საკითხის დაყენება, არც პარტიის საორგანიზაციო სტრუქტურა, არც რევოლიუციის შეფასება ხსენებულ პარტიებს არ ერთებდა. მენშევიზმი მთელი თავისი არსებით უბრალო დემოკრატიული, ოპორტიუნისტული პარტიაა, ბოლშევიზმი—სოციალისტური. ამ ორ პარტიის შორის იმდენი განსხვავებაა, რამდენიც დემოკრატიზმსა და სოციალიზმს შორის. ამიტომ მენშევიკების რევოლიუციის ტაფაში მომწყვდევა ისეთივე შეცდომაა, როგორიც ფედერალისტების პირადებით კონტრ-რევოლიუციის ტაფაში მოთავსება.

რა მოგვცა რადიკალური და ორიგინალური მენშევიკებმა? მენშევიზმი მე-80—90 წლებში იყო ორიგინალური, როცა ის მარქსის მოძღვრების ელემენტებს აცნობდა ხალხს—თუმცა იმასაც ცუდად. შემდეგ მენშევიკური პარტია იდეურად მოკვდა, რომელსაც არ დაუმუშავებია არც ეროვნული საკითხი, არც სახელმწიფოებრივი პრობლემა, არც აგრარული რეფორმა. მენშევიზმი გაკოტრდებოდა 1905 წელშიაც რევოლიუციის ტალღა რეაქციას რომ არ დაეყლაპა უმალვე. მენშევიზმი რევოლიუციის უარყოფაა, სადაც მენშევიზმი მოკვდება—იქ რევოლიუცია გაიმარჯვებს. თუ რუსეთი ბარბაროსული იყო და აქ შეუძლებელია სოციალისტური რევოლიუცია, გერმანია ხომ კულტურულია, იქ ხომ შეიძლება სოციალისტური რევოლიუცია, იქ ხომ მენშევიკური პარტია საოცრად ძლიერია? მაშ რად არ არის გერმანიის რევოლიუცია?—იმიტომ, რომ გერმანიაში მენშ. პარტიაა ძლიერი. რამდენადაც გერმანიაში ან ინგლისში მენშევიკური პარტია გაიხრწნება—იმდენად ჩაეყრება საფუძველი რევოლიუციას. არავის იმდენი ზიანი არ მოაქვს რევოლიუციისათვის, რამდენიც ესერებს, მენშევიკებს და მაკდონალდის ტრედ-უნიონებს.

მაგრამ ამხ. ფ. მახარაძემ და ი. ბ.—მ ხომ ჩვენ გვახსენა, ჩვენ. მემარც. ფედერალისტები კი ლობე-ყურეს მოვედევით და ჩვენი „თამასუქები“ კი არა, თითქმის „ისტორიის თამასუქები“ გადმოვქექეთ.

ი. ბ.—მ მშვენივრად ჩამოყალიბებული აზრი—წინადადება წამოაყენა:

1. სიტყვა-სიტყვით: „ფედერალისტები ხან გამოშვებით მაინც ნახულობდენ საერთო ენას მენშევიკებთან, ბოლშევიკებთან საერთო ენის გამონახვის ცდაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო“.

2. „არ ვიცი გულში ვის რა ქონდა და თავში რა უტრიალებდა, მაგრამ ასეთი ჯგუფის არსებობაზე საზოგადოებრივ—პოლიტიკურ წრეებში არა ისმოდა რა.“

3. „დაგვისახელონ ერთი წერილი, ერთი კრება მაინც, 1921 წლის 25 თებერვლამდე, სადაც ისინი მოითხოვდნენ პროლეტარიატის დიქტატურას“.

აი სამი საკითხი. ყოველ მიკიბულ-მოკიბულ სიტყვების გარეშე ამხ. ი. ბ.—ის დავანახებთ შემდეგ წერილში არა ერთ სიტყვას, არა ერთ სტრიქონს, არამედ საამისო მთელ პოლიტიკურ გარკვეულ კამპანიას.

დაგვიგდეთ თქვენი მახვილი ყური და აამუშავეთ თქვენი ცნობიერება ამხანაგო ი. ბ.

**თედო ღლონტი.**

---

## წერილები საქართველოს ებრაელებზე.

3.

როგორც დავინახეთ წინა წერილიდან, კვლავ მეორდება ძველი ისტორია: საქართველოს ებრაელთათვის თავს არავინ იწუხებს, დამფუძნებელ კრებაში მენშევიკურმა მთავრობამ არ „გამოქექა“ ებრაელთა საკითხი და „ჩვენი დელეგატიც“ კმაყოფილი დამფუძნებელ კრებაში ცარიელი ჯდომით—დასრულებულად სთვლის თავის მოვალეობას ერის წინაშე.

ჩვენ აქ გვყავს შემდეგი ტიპები: ქართველი მენშევიკები და ებრაელთა სასულიერო ორდენი ე. წ. „აგუდა“.

რა განსხვავებაა მათ შორის?

ძალიან დიდი,—დიდი მანძილი დევს მათ შორის, გრძელი ხიდია გასავალი, მაგრამ ყოფილა ისეთი საკითხი, სადაც თურმე მათი მსოფლმხედველობა შეერთებულა.

ეს არის ისტორიულად დაწყევლილი ებრაელთა საკითხი. აქ თანაბრად მსჯელობენ, კამათობენ და მიდიან დასკვნამდე რომ „არ არის საჭირო ებრაელთა საკითხის გამოქექა“.

ორი ათასი წლის ცხოვრებამ—ვერაფერი შესძინათ საქ. ებრაელებს.

ნიკოლოზის მთავრობამ ყველაფერი ქართული „გაარუსა“ და „ებრაულზე“ კრინტის დაძვრა ხომ თავის გაწირვას ნიშნავდა.

მთავრობა, რომელიც უკარნახებდა კიშინევში დარბევის გამართვას, ბეილისის გამტყუნებას, „ჟიდების“ ამოწყვეტას, როგორც სახელმწიფოსთვის მავნე ელემენტებისას,—ცხადია ასეთ მთავრობას სასაცილოდ არ ეყოფოდა ებრაელთა მოთხოვნილებანი.

გადაიბარგენ თვითმპყრობელები, „გათენდაო“ იგრიალეს დიდის ხმით, მაგრამ საქართველოს ებრაელთათვის მაინც არ გათენდა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია აგუდა—მენშევიზმის კავშირი და მათი დუმილი საქართველოს ებრაელთათვის.

„მოთმინებათა შენითა მოიპოვე პური შენიო“ —ეს თქმა, შესანიშნავად გადააკეთეს:

„დუმილითა შენითა მოიპოვე უფლებები შენიო“ ან და შეიძლება მენშევიკებიც დაეთანხმენ „აგუდაელებს“, რომ საჭიროა „მესიის“ მოსვლა ებრაელთათვის, რომ უზრუნველყო მათი უფლებები, მაგრამ... თუმცა მესია არ მოვიდა, ისინი იძულებული შეიქნენ დაეთმოთ „ლამაზი საქართველო და მისი დამოუკიდებლობა“, ისინი წავიდენ და საქ. ებრაელთა ისტორიას შიემატა კიდევ ერთი სამწუხარო ეპიზოდი: არც ამ მესამე ეპოქამ შესძინა რამე საქ. ებრაელებს.

საკითხი ისმება: რატომ? რისთვის? კვლავ ისმება წყეული კითხვა: ვინ არის ამის მიზეზი? ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ დღესაც მის პროფესიას ამშვენებს „ჩარჩობა“, რომლის გულისთვის ის იძულებულია აიტანოს ათი ათასი შეურაცხყოფა? ნუ თუ მართლა ეს ებრაელთა ნაციონალური პროფესიაა, როგორც ზოგიერთ ანტისემისტებს ჰგონიათ? თუ ასე არაა, მაშ რად არ უცხადებენ სასტიკ ბრძოლას ყოველივე დრომოჭმულს?

ვინ არის ამაში დამნაშავე?

და პასუხი ცხადია. არავინ არის დამნაშავე, თუ იმას თავში ურტყავენ: ჩარჩი ხარო, მაგრამ **ყველა დამნაშავეა იმაში რომ ის ჩარჩია.**

მე ამ შემთხვევაში მსურს ვიმსჯელო სრულიად ობიექტიურად და ამიტომ ვიტყვი: საქართველოს ებრაელი დასაწყისიდან იყო ცხვარივით მორჩილი. მას ყველა უყვარდა, ის ყველას ნდობით შესცქეროდა და ამიტომ ამ „უპატრონო ეკლესიას“ დაეპატრონენ არამკითხე აპეკუნები, რომლებიც ეწეოდენ უსინდისო სპეკულიაციას. მეთაურები არას ზრუნავდენ მათთვის და ბრბო მიჰყვებოდათ მათ, როგორც ისუსნავინს ალთქმის ქვეყნისკენ. ხალხი არას ითხოვდა და მთავრობაც თავისი ინდიფერენტული განწყობილებით ხელს უწყობდა მრავალ საუკუნოებრივ დუმილის კოშკის აგებას.

რელიგიურ ფანატიზმის მსოფლმხედველობა ძალიან ადვილად ეგუება ჩარჩობის განვითარებას და ჩარჩობასაც არაფერი საწინააღმდეგო აქვს ფანატიზმისა, ჩარჩულად მოაზროვნე ადამიანის მსოფლმხედველობა ამას ვერ გაცდება. რომ ის იმას გაცდეს, საჭიროა მათ დაუპირდაპირდეს პარალელურად მეორე ძალა. ეს არის კულტურული ძალა, მაგრამ კულტურული ძალა არასოდეს არ იკიდებდა ფეხს და სუსტი იყო წინა ძალებთან შედარებით.

რაშია საქმე?

აქ არის ძაღლის თავი დამარხული, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი ხალხის მომავალი. მაგრამ ვიდრე მომავალს შეუდგებოდე, მე მსურს დროებით წარსულს დაუბრუნდე.

1904 წელს ზ. ჭიჭინაძემ გამოუშვა წიგნი „ქართველი ებრაელნი საქართველოში“, სადაც სჩანს ისტორიული მიდგომა და ობიექტიური განხილვის სურვილი. 1922 წ. ქუთაისის „მუშა და გლეხში“ სჩანს მისი წერილები, სადაც უარყოფს ყველაფერ ძველს ნაწერს და მიდის იმ დასკვნამდე. რომელ დასკვნამდე მივიდა ხანანაშვილების კომპანია. ბინ—ჰერმა შესაფერი პასუხი გასცა მაშინ ზ. ჭ—ს, რომელსაც ამის შემდეგ აღარაფერი უთქვამს ამ საკითხის გარშემო. მხოლოდ ვიცი პირადათ, რომ მან 1922 წლის აზრები კვლავ შესცვალა ძველით.

თუ კი ისტორიკოსი მეტ მიუდგომლობას ვერ იჩენს, ცხადია მასზე უფრო შორს მდგარ პირებს სულ არ ექნებათ საშუალება მიუდგომლად აზროვნებისა. მე ვთქვი ზევით, რომ ყველა დამნაშავეა იმაში, რომ საქ. ებრაელი კულტურულად დაბალ საფეხურზე დგას.

სამწუხაროდ ეს ასეა.

დამნაშავენი არიან მათი კლერიკალ ხახმები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში ეჭირათ სადავე ამ ხალხისა და მიაქანებდენ მათ უფსკრულისაკენ გადასაჩეხად.

დამნაშავენი არიან ყველა ის პირები, რომელნიც წინდაწინ, შორიდან ადგენდენ მათზე შეხედულებას მათი სხვა და სხვა უარყოფითი მხარეების გამო და არ ცდილან მიზეზების გაგებას—რისთვისაც ამ ხალხს არ აქცევდენ ჯეროვან ყურადღებას.

მე ვლაპარაკობ ყველანაირ მთავრობაზე, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლებამდე იყვნენ საქართველოში.

დამნაშავეები არიან ის არა მკითხე აპეკუნები რომლებიც ხალხის ვინაობის გამორკვევას აწარმოებდნენ და შეცდომაში შეიყვანეს მრავალი ქართველი, რომლებმაც „გულუბრყვილოდ“ დაიჯერეს ხანანაშვილთა „გულკეთილობა“.

ბოლოს და ბოლოს საჭიროა ითქვას, რომ თუ ჩვენში ფეხს არ იკიდებს კულტურული საქმე—დამნაშავეა ამაში ის თითებზე დასათვლელი, მცირე რიცხოვანი ახალგაზდა ინტელიგენცია, რომელიც მოგვეპოება ჩვენ და იჩენს პასიობას და ინდიფერენტიზმს.

მათ, რომლებიც ყველაზე მწვავედ გრძნობენ ჩვენ კულტურულ სიმშილს და იციან კარგად რა სიმცირეა ჩვენ ხალხში შეგნებულ ელემენტებისა, აი სწორედ მათ—მიუძღვით უუდიდესი და მიუტევებელი დანაშაული. შეიძლება ისინი მუშაობენ კიდეც, მაგრამ მათი მუშაობა არასოდეს არ გასცილებია იმ ოთახის კედლებს, სადაც მათ დაუწყიათ ბჭობა ამა თუ იმ საკიხის შესახებ.

საჭიროა ითქვას:

ყველა წვრილი ხალხის, წვრილი ერის საუკუნოებრივი მტანჯავი სენი—ეგოიზმი შემოიჭრა ჩვენი ხალხის ინტელიგენტთა შორისაც.

მაშასადამე თუ საქართველოს ებრაელთა შორის ჯერჯერობით არ გადადგმულა არავითარი კულტურული ნაბიჯი, ამაში დამნაშავეა ეს ეგოიზმი, დამნაშავეა ის „უჩემოდ ვინ იმღერეთობა“, რომელშიდაც ბრალს სდებს კ. კაპანელი ქართველ ინტელიგენციას. ამ „უჩემოდ ვინ იმღერეთობამ“ საქართველოს ებრაელთა მოწინავე პირებშიდაც ღრმად გაიდგა ფესვები და თუ ეს ჩანასახში არ იქნა ჩაკლული და მოსპობილი, მაშინ ის გაიზრდება და არასოდეს საქართველოს ებრაელობა არ ეღირსება კულტურულ განთიადს.

მეოთხე წერილში მე მექნება ლაპარაკი „თარბუთის“ შესახებ, რომელიც ეხლახან დაარსდა ქ. ტფილისში. ცხადია მისი დაარსებით გადაიდგა დიდი კულტურული ნაბიჯი, მაგრამ არ კმარა დაარსება.

აუცილებლად საჭიროა, ყველა ებრაელი, ვინც გამსჭვალულია თავისი ხალხის სიყვარულით და წარმოადგენს კულტურულ ძალას—უნდა შემოკრბეს ამ წრის გარშემო.

თუ ჩვენი ძალები, რომლებიც დაქსაქსულან და უმიზნოდ გაფანტულან—არ იქნენ გაერთიანებული, მაშინ ყველაფერი იქნება წყლის ნაყვა და კვლავ, არაფერი არ გაკეთდება.

სახალხო ინტერესებს ყოველთვის უნდა შეეწიროს კერძო ინტერესები. ეს უნდა იცოდეს ყოველმა „თარბუთის“ წევრმა და ამ აზრით გამსჭვალული უნდა წარსდგეს სამუშაოზედ, თორემ თუ ეს ასე არ იქნა და საშუალება მივეცით წყეულ ეგოიზმს, რომ ის გაიზაროს და განვითარდეს,—მაშინ ის გადაიქცევა ისეთ სტიქიად, რომლისაგან გაჩენილი ცეცხლი ძნელი გასაქრობი იქნება, ის წალეკავს, გაანადგურებს ყველაფერ კულტურულს და ამ ნანგრევ—ნამსხვრევებში მოჰყვება „თარბუთიც“ და თუ „თარბუთი“ დაიღუპა, ცხადია ესეც ამ „ეგოიზმის“ გამო იქნება და ჩუმი, მიუდგომელი ისტორიკოსი, როცა მივა თავის ბინაზე ის აღნიშნავს უბნის წიგნაკში შავი ასოებით:

„საქართველოს ებრაელებს ჰყავთ ერთი მუჭა ინტელიგენცია, სულ 6—7 კაცი და იმის მაგივრად, რომ შეერთებულიყვენ და ხალხის საქმე ეკეთებინათ—დაჰღუპეს თავიანთი ხალხის აწმყო და მომავალი. **„თარბუთი“ გახდა მსხვერპლი „ეგოიზმისა“.**

**გერცელ ბააზოვი.**

(შემდეგი იქნება)

# ჩვენი სკოლა

## სწავლის დაწყება.

სასწავლო წლის დასრულებისას გამოცემულ ცირკულიარის თანახმად ჩვენს რესპუბლიკაში სწავლა უნდა დაწყებულიყო მიმდინარე წლის ენკენისთვის 17-ს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დრო სასწავლო წლის დაწყებისათვის მოხერხებული და რაციონალი ვერ არის.

17 ენკენისთვე, ძველი სტილით, რომ ვიანგარიშოთ, 4 ენკენისთვე სოფლურ საქართველოსთვის წლიურ სარჩოს მომარაგების და მინდორ-ველზე ჭაპან-წყვეტის ფერხულია.

ჩვენ მოსწავლეთა მთელი 99 პროცენტი მშრომელ მიწის მუშების ოჯახიდანაა გამოსული.

ენკენისთვეში ზემო აღნიშნულ მშრომელ მოწაფეთა სკოლაში დაძახება ასე რიგად სასურველია, მაგრამ სინამდვილეში მიუღწეველი. ვერავითარი დისციპლინარი ზომა და მოწოდება ვერ მოჰგლეჯს ველ-მინდვრად ან ტყედ გაჭრილ მოწაფეს ამ დროს სამუშაოდან.

ეს ფსიქოლოგიურადაც შეუძლებელია.

მოწაფე მშობელთან ერთად წლის საკვებს თუ სათბობს ითადარიგებს და რა გულით წავა ის ამ დროს სკოლაში სამაცადინოდ?

ჩვენის ფიქრით უმჯობესი იქმნებოდა სწავლა ჩვენს ქვეყანაში დაწყებულიყო ოქტომბრის თვიდან, როცა ჭირნახულის მოწევა ჩვენს გლეხს თითქმის მოთავებული აქვს და იგი ყოველმხრივ „შეიარაღებული“, შეჰყურებს ზამთარს.

ამ დროს მოსწავლეს გული უკვე მაგრად აქვს, სახლში მას საქმე თითქმის არაფერი რჩება და სკოლაში მაცადინეობაც მისთვის ერთგვარ მოთხოვნილება-ხალისს წარმოადგენს.

ამ რიცხვიდან კი ჩვენ სასკოლო დისციპლინის მთელი სისასტიკით უნდა ვაწარმოოთ მაცადინეობა, ამიერიდან არავითარი შეღავათი.

ოქტომბერში დაწყებულ სასწავლო წელს მაქსიმუმი წარმატება უნდა დავატოვებინოთ, მით უმეტეს, რომ ამ დროიდან მოსწავლე ელემენტი სრულიად თავისუფალი გვეყოლება.

ჩვენის ფიქრით ეს კითხვა ღირსია ცენტრის ყურადღების.

**ევროპიელი.**

# პროვინციაში

**ძონძირ-ისულის თემი (სენაკის მაზრა).** ეს თემი მდებარეობს ქ. ახალ-სენაკის სამხრეთით, რომელიც დაშორებულია მისგან ორი ვერსტით.

მიწის სინოყიერე აქ ხელს უწყობს სიმინდის უხვ მოსავალს, რომელიც შეადგენს მცხოვრებთა მთავარ ნივთიერ სახსარს.

წელს ხშირი წვიმებისა გამო სიმინდის მოსავალს მეტად ცუდი პირი უჩანს, რაც სულიერათ სცემს მუშა ხელს. ნივთიერი მდგომარეობის უკიდურესობა აქ საგრძნობია.

დაუფასებელია ის დიდი დახმარება, რომელიც აღმოუჩინა ამ თემს სამაზრო აღმასკომმა უფასოთ ქინის დარიგებით. აქ დაბალი მდებარეობისა გამო იცის ნოტიო ჰაერი, ამიტომ ხშირი მოვლენაა მალარიით ავადმყოფობა.

დღეს თითოეული მუშა გლეხთაგანი დარწმუნებულია იმაში, რომ მათი ხსნა მხოლოდ და მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლებაშია. თუ კი დღემდე ეს თემი კულტურულათ ჩამორჩენილათ ითვლებოდა, დღეს გაცხოველებული მუშაობა სწარმოობს აღმშენებლობითი საქმეებში. გადადგმულია ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯებიც.

სწარმოობს გზების, სკოლების შეკეთება და სხვა ასეთები.

ამ მხრივ აღსანიშნავია ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. კოღუასა და მასთან თანამშრომელ ამხ. ძაკუჯავას მუშაობა. მათ გვერდს უდგას კომპარტიის პასუხის მგებელი მდივანი ამხ. ილ. ბახტაძე. ენერგიული მომუშავე ამხანაგია. ესენი ხელიხელ ჩაკიდებულნი განაგრძობენ გაცხოველებულ მუშაობას აღმშენებლობითი ფრონტზე.

**ახალი ძონძირელი.**

---

**ტობანიერის თემი.**

26 აგვისტოს, ადგილობრივ სახალხო სახლში, ვანის თემის დრამატიული წრის მიერ იქმნა წარმოდგენილი „ნომერი ეცდა ერთი ჯვრით“ ცნობილი დრამა 4 მოქ. ია ეკალაძისა, რაც მომქმედ პირების მიერ საუცხოვო კარგად იქმნა წარმოდგენილი...

— მოსავალს ამ თემში კარგი პირი უჩანს; ყანები და ვენახები საერთოდ ასეთი კარგი, დიდი ხანია ამ ყოფილა. უკანასკნელ გამუდმებულმა წვიმებმა ცოტათი შელახა ყურძენი, საერთოდ კი კარგია.

— დიდი ხანია ამ თემში დაკეტილია ეკლესიები. რამდენიმე მათგანი სახალხო სახლებათ იქმნა გადაკეთებული, თანახმად საზოგადოების მოთხოვნილებისა და ზოგი (ხის) მთლად დარღვეულია შკოლის შენობისათვის.

**შკოლის შენობა:** ზაფხულის დასაწყისს დაიწყეს ტობანიერის თემში მთლიანი შრომის შკოლის შენობის აგება. შენობა უნდა იქმნეს ორ სართულიანი, (აგურის 40 თვალამდის ოთახებით)...

ამ ჟამათ ბალავერი დასრულებულია და კედლის შენება არის დაწყებული 2 არშინამდის, რისთვისაც ყოფილ ეკკლესიებიდან იქნა აღებული იატაკი და სამრეკლოები...

საზოგადოება დიდი თანაგრძნობით ხვდება ამ სიმპატიურ საქმეს და ადგილობრივი აღმასკომიც დაუღალავ მუშაობას ეწევა.

თუ მენშევიკური მთავრობის დროს ამ საქმეს სისრულეში მოყვანა არ ეღირსა, გვწამს, საბჭოთა მთავრობის დროს მაინც იქნება სისრულეში მოყვანილი.

— 3 დღე არის რაც, რომ გვესტუმრა მთლიანი სასოფლო სამეურნეობის აღმწერნი ინსტრუქტორი, 3 სექტემბრამდის აწერა დასრულდება.

---

**დ. დიდი-ჯიხაიში. ამინდი.** მრავალ წვიმების შემდეგ დგება კარგი ამინდები, რომელსაც შეუძლია მოსავალი გამოაკეთოს.

**ციება.** ციებამ საზოგადოების დიდი ნაწილი შეიპყრო, გაღარიბებული სოფლელებს არ აქვთ შეძლება ავადმყოფობას ებრძოლოს. ამ ბოლო დროს ჩამოვიდა ციების საწინააღმდეგო ექსპედიცია. შესაფერ დახმარებას უწევს სოფელს, საჭირო არის მეტი ენერგიული დახმარება, რომ სოფელი გადარჩეს მცირე მსხვერპლით.

**იანეთის სადგური.** განზრახულია აშენედს იანეთში სადგური, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მის მახლობელი სოფლებისთვის. იყო ჩატარებული შემოწირულება. საჭირო არის ზედმეტი უნარიანობა დაწყებული საქმის დასამთავრებლად.

**„ფარი“.**

---

— **სამტრედია.** სამტრედიის რაიონში ოთხფეხ საქონელს მოედვა ციმბირის ჭირი.

— **ბაზრის ფასების დაკლება.** ბაზრის ფასებმა, როგორც სურსათ-სანოვაგეზე, ისე ფაბრიკატებზეც, თუმცა ძალიან მცირედ, მაგრამ მაინც იკლო.

— **საზავშო ბაღი.** ამ ახლო მიმავალში მოელიან აქ საბავშო ბაღის გახსნას.

— **ჟურნალი „განათლების მოამბე“.** გამოვიდა ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების ჟურნალი „განათლების მოამბე“ № 3.

— **პედაგოგიური ტეხნიკუმი ქუთაისში.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ ამა სასწავლო წლიდან ქუთაისში იხსნება პედაგოგიური ტეხნიკუმი.

— **რაიონული ლექციები.** სამტრედიის მასწავლებელთა რაიონული ლექციები სასწავლო წლის მოახლოებისა გამო შესწყდა უკანასკნელი ლექცია. გამოითქვა სურვილი ლექციების სწავლის დროსაც გაგრძელების შესახებ.

— **უწიგნობა.** პროვინციის წიგნის მაღაზიებში ვერც ერთ ქართველ ავტორს ვერ შეხვდებით, მით უმეტეს სრულიად არ არის ახალი წიგნები.

როგორც ეტყობა ქართულ გამომცემებს წიგნის მაღაზიებს ემტერებიან.

---

# პატარა ფელეტონის მაგიერ

## პროვინციის რამე-რუმე

(სურათები).

2.

„რა ღირს ლირა... როგორ ამხტარა ზევით ჩერვონეცი“... ისმის 15—17 წლის ბიჭებში. მთავარ საპროსპექტო ქუჩაში ტბა ორმო და მობანავე ღორები!.. მძორი და ძვლები მთავარ ქუჩაში და ძაღლების გროვა!..

„საყაბახე“ ადგილი. მის გასამშვენებლად ერთხელ იმერულ ტემპერამენტით ოფლი უღვრიათ იმერლებს, მერე დავიწყნიათ და არც იხსენებენ!..

წიგნის მაღაზია უწიგნოდ ღვინით და ნარდით!..

ფოსტა უმარკოდ... კორესპოდენციების თითო თვეობით დაგვიანების ვალდებულებით...

ექიმები „ჩერვონცების“ მოანგარიშე..

აფთიაქი „კურსით“ მოვაჭრე.. „იარმარკა“ მჭადის კვერებით და ღღღვით...

ქალაქის მცხოვრებთა მაწყევარი სოფლის ხალხი...

— თეთრეული არ მაცვია. გამძვრა ფეხზე, მოსთქვამს სოფლის დედაკაცი..

— თქვენ ქალაქის „ბურჟუებო“ ჩაფარჩული ხართ და ერთ კალათა ღღღვში 300.000 მან. მოცემა გეზარებათ გაიბუტბუტებს მეორე...

—

— სასამართლოსკენ გავლა, სახიფათოა იქ მკვდარი ღორი გდია!..

— სკოლისათვის ახალ სასახლეს აგებენ, იქმნებ გინდათ მისი ხილვა?!.

მისი სტილით სულთ დატკბობა!.. მისი სტილი საყაზარმოა...

მისი კედელი იმერულათ საუცებიო...

— თქვენ მოკირწყლულ ქუჩას ეძებთ?.. ბედიარა გქონიათ...

აქ ყველა ქუჩები მოკირწყლული იყო მაგრამ მოხდა ფენომენალი ამბავი...

სასწავლებლის სასახლეს დასჭირდა ბევრი ქვა...

ადგენ და ყველა მოკირწყლულ ქუჩებს ქვები აყარეს...

დარჩა სამტრედია ისევ ტალახში...

იგი ხარობს, იგი ქალაქობს. იგიც ცენტრია...

იგი არაფერს ჩამორჩება...

აბა რა აქვს მას?..

მუსიკა „ოფეთური“ *) სამიკიტნოები სირაჩხანული... „ყაბახი“ ტფილისური...

— ელექტროფიკაცია სრულ ყოფილი... აკლია მხოლოდ „ჰაეროპლანი“...

222000000 ძალის ელექტრონის სადგურს აგებენ...

გუშინ პედაგოგი ს. შემხვდა, მხრებზე ალგებრა გაეწყო და ელექტრო-სადგურისკენ მიეშურებოდა...

222000000 ალგებრულად უნდა უანგარიშო სამტრედიელებსო!..

ციებისგან აჭარულ ვაშლსავით გაყვითლებულ ერთ მასწავლებელ ვ-ს ერთ ინდაურისთვის ულელი დაუდგამს თოკი გამოუბამს და „ყაბახისკენ“ მიდის...

ეს ისტორიული ინდოურია...

ის დაიკვლება მალე...

საცა არის იმერეთის განათლების გამგე დედა ქალაქიდან დაბრუნდება...

ჯამაგირების მიღების ფერმანს გამოსცემს...

იმ დროისთვის სამტრედიელი მასწავლებლებიც ემზადებიან „გემრიელ პურის საჭმელად“...

თამადა უკვე არჩეულია ღვინო გასინჯული...

მაგრამ ერთიც ვნახოთ ფული არ მოვიდეს!..

— ერთი მანდილოსანი ვექილს ეძებს „კაბინეტში“, ვექილი კაბინეტში არ არის. ის გადასახლებულია სამიკიტნოში იქ „იცავს“ საქმეებს და იქ იღებს ფულსაც!..

გადაკვრის შემდგომ უფრო ადვილია ციცერონობა“:..

მკითხველო ვგრძნობთ რომ გული გაგიწყალეთ სამტრედიის „ხოტბით“, მაგრამ გთხოვთ ერთი წამით კიდევ გვათხოვოთ თქვენი ყურადღება!..

თუ თქვენ თანახმა ხართ გავსწიოთ „ალეებისკენ“...

ეს აქაური „ტიელიერის“ ბაღია..

ამ „ალეების“ ქვეშ არის წარმოდგენილი მთელი მოსეირნე, „ხელოვანი“ და „ინტელიგენტი“ სამტრედია...

„ჩტო ზა ნეუდაჩა ია სეოდნი პლოხო ვიგლიაჟუ“—ამბობს ერთი „მოარშიყე ‘ ქალი....

„მოია პოდრუგა ვიშლა ზა მუჟ ზა ბაგატაო კუპცა, მენია ტოჟე პროსიატ“...

გაისმის ახალგაზრდა ქალებში...

„კაკიე ზდეს ინოსტრანცი გულიაიუტ ნავერნო კომერსანტი, ინტერესნო პოზნაკომიტსია“.

ჩურჩულებენ საუნივერსიტეტო ქალები...

Voyer c'est les femmes russes, mais ou est les femmes gèorgiennes?

ჰკითხულობენ დასავლელნი.

— მშიერ-მწყურვალი დაიკეტე ცივ ოთახში და იზეპირე რაღაც წიგნები...

— ცხოვრების შინაარსი—სილამაზე აქ არის ფულის მოგებაში და შნოიანად დროს ტარებაში...

— მე შენ გეტყვი და უფულო სტუდენტს უფულო სტუდენტი ქალი გაგიწევს თანაგრძნობას და შენთან გაივლის!..

არ მომიკვდე.. იმათ სულ სხვა „კავალრები“ ჰყავთ... სპარსელ ვაჭრებს ძალიან სწყალობენ!..

ისმის ახალგაზრდა სტუდენტთა შორის...

—

— ჩვენ მოდაში აღარ ვართ, ლირა აღარ გვაქვს, ქალებს რას მოვეწონებით ნაღვლიანად წარმოსთქვამენ „გალიფეანები“...

— ახლა გასავალი აბრამას აქვს...

დაამატებს ივლიანე ყოფილი აზნაური, რომელიც სპეკულიანტებისკენ მიმავალ ქალიშვილებს მამალივით მისჩერებია...

— გუშინ 100 ლირა ... ვიც... ბებს სპეკულიანტი, ბატე ორ ლამაზ ქალს ... კვებ იკვეხის 18 წლის ...

— უნივერსიტეტში ... გვწერენ...

— რა ბავშვები ...

— ცხოვრების ... არ იციან...

„ლექციაზეც“ შევიხედოთ...

— საპედაგოგიო საკითხზე კამათი რად ... ნდა...

— თითის აწევით იყოს. „გოლოსავანიე“...

„აქანეი—იქინეი“.

„ვილაცა“.

„ატკაზი“.

„ზანიატი ვიყავი“.

„ვზაიმნი პომოშჩი კასიდან ფულის გა... უფრო მეინტერესება“.

„ოტპუსკი ჰქონდა“.

— ჩვენ გვინდა ისეთი ლექტორი, რომე... სასწავლო მეთოდს დაწერილს მოგვიტანს და ... ისეთი, რომელიც ჩვენ თვითონ გვაიძულებს ... მეთოდის გასამართავად.

ისმის მასწავლებელთა

კრებაზე... თუ

ლექციაზე!..

ახლა ჩაუაროთ კავშირებს (კოოპერატი... ამბობენ ახლა პირველი ბურჟუები კავშირის ... ხიაო...

ორ ადგილას პარკს იღებენ...

მთელი ქვემო იმერეთის სოფლები აქ არი...

— შენ დაგეწვა ხანი თუ ცოტა მეტი მ... ჰრა მაგ დამპალი ნარმიდან—იწყევლება

ერთი დედაკაცი.

დედა-შვილობას ერთი ხელის დადება წამ... ტე ამ ტილოზე, გასათხოვი ქალი მყავს და ... ხათრი მაინც იქონიე ცოლსათხოვი ვარსკვლავი... ყმაწვილი ხარ.

ამბობს მეორე დედაბერი.

— ღმერთო ცეცხლი წაუკიდე მაგათ, ე... კვირაა აქ ვყრივართ და ფართალის მიღება... გვაღირსეს ისმის ერთად თავშეყრილ დედაკა... ში...

იქნებ თეატრის აქაურ დრამის ამბავსაც ... ბებ მკითხველო!..

მაგრამ გავიდა დრო, რომელიც შენ მასეს...

მეც ვბეჯითობ, ვინაიდან „დროთა ლი... ჩავეწერე“...

თუ ოდესმე მოისურვო სამტრედიის დრ... „ხოტბის“ მოსმენა ნუ დაიზარებ ერთ-ერთ „... როპლანით“.

მაცნობე.

მე გატეხილი კალმით და ნახშირის მელ... (სამტრედიაში მელანი არ იშოვება) მყისვე შე... რულებ შენს წადილს.

ავანსად მერწმუნე, რომ სამტრედიის „დ... მის“ ისტორია ფრიად საგულისხმიეროა...

**ევროპიელი.**

—

**მინაწერი.** ერთი ამბავი მრჩებოდა, რომ... გაციება არ არის ხელსაყრელი... ელექტროფ... ცია, როგორც გაუწყეთ უკვე ხორცშესხმული ს... ხადეა...

ელექტრო-განათებისათვის ბევრი ჩაფლეს ... წაში ბოძები...

რამდენიმე ბოძი ზედმეტი დარჩა, მათი ... თხრა ვერ მოხერხდა, ამიტომ ისინი ძირში მ... რეს...

— ხმა დადის ჰაეროპლანის გარდა სამტ... დიას „ძეგლი აკლიაო“...

ამის გამო განზრახულია სამტრედიის „ყა... ზე“ ერთ-ერთ მწერალს და ერთ-ერთ რევოლ... ციონერს დაედგას ძეგლი...

**ევროპიელი.**

---

*) სოფელია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ა/კ რკინის გზათა სამართველო
ამით აცხადებს, რომ

ქალ. მოსკოვში

თეატრის მოედანი, № 7.

დაიწყო მოქმედება ა/კ რკინის გზათა

კომერციულმა
სააგენტომ,

რომელიც აწარმოებს დებულებებით ნება-დართულ ყოველგვარ ოპერაციებს.

კომერციულ სააგენტოს გამგედ დანიშნულია მოქ. ნ. პ. კოსილოვი,

მის მოადგილედ მოქ. ი. ლ. კოტლიაროვი.

მისამართი დეპეშით: მოსკოვი—ზაკავკაზჟელდოროგ. 3—1